# ხელშეკრულება № 15/1

## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ჩოხატაური

06 თებერვალი 2012 წელი

ერთის მხრივ ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური „სხივი"-ს სახელით დირექტორი კახა ჯინჭარაძე (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ ინდივიდუალური მეწარმე „იური კალანდაძე" (შემდგომში მიმწოდებელი) ვდებთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი.
1. **სამეურნეო საქონელი (სამუშაო ხელთათმანები)**
(კლასიფიკატორის CPV კოდი 18100000) – **360 (სამასსამოცი)** ლარი
შესყიდვის მეთოდი: **გამარტივებული შესყიდვა**

**2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება.**

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **360 (სამასსამოცი)** ლარს.

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა მოიცავდეს მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს.

**3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები.**

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადაა **2012 წლის 28 დეკემბრამდე.**

3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ჩოხატაური

**4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.**

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

**5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია.**

5.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში.

5.2 შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადა განისაზღვროს ------- წელს.

5.3 შესყიდვის ობიექტს არ უნდა გააჩნდეს ხარვეზები რომელიც აუარესებს მისი გამოყენების მაჩვენებელს.

5.4 „შემსყიდველი" ვალდებულია წერილობით აცნობოს მიმწოდებელს ხარვეზების შესახებ.

5.5 შეტყობინების მიღების შემდეგ „მიმწოდებელი" ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას არსებული ხარვეზები.

**6. ანგარიშწორების ფორმები, გრაფიკი, ვადები.**

6.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშწორება განხორციელდება ლარებში.

6.2 ანგარიშწორების ფორმა უნაღდო.

6.3 ანგარიშწორება შეიძლება განხორციელდეს როგორც მთლიანად ასევე ეტაპობრივად გადახდის გრაფიკით. ეტაპობრივი მიღება ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ არანაკლებ 5 საბანკო დღის ვადაში.

**7. მხარეთა უფლება მოვალეობანი.**

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს უფლებამოსილი პირის მეშვეობით განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე. საქართველოს კანონის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

7.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3 „მიმწოდებელს" უფლება აქვს მოითხოვოს „შემსყიდველის"-აგან მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

**8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში.**

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში ყოველი გადაცილებული კალენდარული დღისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0,5% ოდენობით.

8.2 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. აღნიშნულ შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 8% ოდენობით.

**9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის აუცილებლობა.**

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის წერილობითი შეთანხმების გარეშე.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორმა ვალდებულია წერილობით შეტყობინების მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

**10. ფორს მაჟორი.**

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით როგორიც წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10.2მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს მაჟორული სიტუაციის დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

**11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი.**

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წარმოშობილი დავები და აზრთა სხვადასხვაობა გადაწყვეტილი იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეებმა მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები**

„შემსყიდველი" ------------------------------------ ქ. კოსმარაძე

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
კომუნალური სამსახური „სხივი"
მის: კოსტავას I შეს. №11
საინდ/კოდი 242008796
ს.ს. ლიბერთი ბანკის
ჩოხატაურის ფილიალი
საინდ. კოდი LIBERTI22
ანგ. GE65LB0115152725113000

„მიმწოდებელი" ------------------------------------ ი. კალანდაძე

მის: დუმბაძის ქ.№10
საინდ. კოდი 46001004943
ს.ს. ლიბერთი ბანკი
ჩოხატაურის ფილიალი
საინდ. კოდი LIBERTI22
ანგ. GE65LB0115152725113000